მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №11(121) 2016 წ. 1-15 ივნისი ფასი 50 თეთრი

ბავშვთა დაცვის დღე საგარეჯოში

ზაფხულის პირველ დღეს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება ბავშვთა საერთაშორისო დღე (International Children's Day). 1949 წელს „ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულმა ფედერაციამ" ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე დააწესა. პირველად 1950 წლის 1 ივნისს აღნიშნეს. მისი მიზანია მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის მობილიზება ახალი ომის საშიშროებისაგან ბავშვთა დასაცავად, ზრუნვა მათი ჯანმრთელობისა და დემოკრატიული აღზრდა-განვითარებისათვის. სწორედ ამ დღესთან დაკავშირებით ქ.საგარეჯოს ცენტრალურ მოედანზე მოსწავლე ახალგაზრდობის სახლისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები გაიმართა. ჩატარდა მარათონი სირბილში, რომელშიც პირველი ადგილი მირიან კურდღელაშვილმა, მეორე ადგილი ჯონი ლაფერიშვილმა, ხოლო მესამე ადგილი გიორგი სონიძემ დაიკავა. გამარჯვებულებს სიგელები და მედლები გადაეცათ. ასევე გაიმართა კონცერტი და ნაყინის აქცია. ღონისძიებების პარალელურად ბავშვებმა ფერადი ცარცებით ასფალტი მოხატეს.

სოფელ იორმუღანლოში საზოგადოებრივი ცენტრი გაიხსნა

8 ივნისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. იორმუღანლოში საქართველოს ***იუსტიციის მინისტრმა* თეა წულუკიანმა** და ***კახეთის გუბერნატორმა* ირაკლი შიოლაშვილმა საქართველოში** რიგით 34-ე საზოგადოებრივი ცენტრი გახსნეს.

საზოგადოებრივი ცენტრი საჯარო და კერძო სექტორის წარმატებული თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია, რომელიც მნიშვნელოვნად ზოგავს ადგილობრივთა დროსა და ფინანსებს. სოფლის მოსახლეობას ის 200-ზე მეტ სახელმწიფო და კერძო სექტორის სერვისს სთავაზობს. იორმუღანლოს საზოგადოებრივი ცენტრი არა მარტო ამ სოფელში მცხოვრებ 6 000-მდე მომხმარებელს მოემსახურება, არამედ მიმდებარე სოფლების დუზაგრამის, ზემო და ქვემო ლამბალოს, თულარისა და კაზლარის მცხოვრებთაც. ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელმა* გიორგი გზირიშვილმა** აღნიშნა, რომ ეს დღე ძალიან მნიშვნელოვანი არის ადგილობრივი მაცხოვრებლებისთვის, რადგან მათ აღარ დასჭირდებათ 35 კილომეტის გავლა ქ.საგარეჯომდე სახელმწიფო სერვისების მისაღებად და ისინი უკვე იორმუღანლოში შეძლებენ საჭირო პროცედურების განხორციელებას.

ახალგახსნილი საზოგადოებრივი ცენტრი მოსახლეობას დროისა და თანხების დაზოგვის საშუალებას მისცემს: ადგილობრივები მარტივად შეძლებენ დაბადების მოწმობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებას; ქონების, მიწის რეგისტრაციას და სხვ. გარდა სახელმწიფო სერვისებისა, სოფლის მკვიდრნი საზოგადოებრივ ცენტრში ისარგებლებენ „ლიბერთი ბანკისა" და „მაგთიკომის" მომსახურებითაც.

სოფელ იორმუღანლოს საზოგადოებრივ ცენტრში იმუშავებს უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები და ვიდეოკონფერენციის აპარატურა. აქვე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკა. საზოგადოებრივი ცენტრის თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საკონფერენციო დარბაზით სარგებლობა მკვიდრ მოსახლეობასთან ერთად ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსაც შეეძლებათ.

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრების მთავარი მახასიათებელი ადგილობრივთა საჭიროებებზე ორიენტაციაა. საზოგადოებრივი ცენტრები მომხმარებელს მრავალფეროვან სერვისებს, გამარტივებულ პროცედურებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომასა და თანამედროვე ინფრასტრუქტურას სთავაზობენ.

საზოგადოებრივი ცენტრის გახსნას იორმუღანლოში იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, სახელმწიფო უწყებების, კერძო სექტორისა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

სახალხო დღესასწაული

სოფელ უდაბნოში

4 ივნისს სოფელ უდაბნოში საგარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების ინიციატივით და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით, სახალხო დღესასწაული „აქ მთელი საქართველოა" გაიმართა. მოგეხსენებათ, რომ სოფელი უდაბნოს დაარსება მიზნად ისახავდა 1986-87 წლებში სვანეთში და მთიან რაჭაში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ჩამოსახლებას. დღესასწაულის სახელი „აქ მთელი საქართველოა" სწორედ ამ ფაქტს უკავშირდება. აღნიშნული დღესასწაული პირველად 2013 წელს გაიმართა, თუმცა ტრადიციული სახე ვერ მიიღო. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დღევანდელი ხელისუფლების ინიციატივით, კვლავ ჩატარდა სახალხო დღესასწაული და ის ტრადიციულ სახეს მიიღებს.

„აქ მთელი საქართველოა" ადგილობრივებმა სოფლის ცენტრში აღნიშნეს. გაიმართა კონცერტი, სადაც მონაწილეობდნენ საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ვანო მჭედლიშვილის სახელობის ქართული ხალხური გალობისა და სიმღერის სახელოსნოს გუნდი სოფ. უდაბნოს ბავშვთა ანსამბლი „გარეჯელები", ფოლკლორული ანსამბლები „გარეჯი" და „ჩინარი", სოფელ უდაბნოს ქალთა ანსამბლი "კასლეთილა", საგარეჯოს კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმედი" . ასევე გაიმართა შეჯიბრი დოღში, მკლავჭიდსა და ჭიდაობაში.

გამარჯვებულებს **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეგელმა გიორგი გზირიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ ფრიდონ ბურდულმა** ფასიანი საჩუქრები, მედლები და სიგელები გადასცეს. დოღში და ქართულ ჭიდაობაში გამარჯვებულებს კი საჩუქრად „ჭედილა" გადაეცათ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული რესურსების მართვისა და ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის კოორდინაციის განყოფილება

ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲠᲘᲒᲒᲐᲠᲔᲨᲘ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 ივნისის რიგგარეშე სხდომას ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ᲤᲠᲘᲓᲝᲜ ᲑᲣᲠᲓᲣᲚᲘ*** უძღვებოდა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა*** **ᲗᲘᲜᲐᲗᲘᲜ ᲫᲐᲑᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ**. როგორც მან აღნიშნა, აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანა გამოიწვია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღებით სხვა შემოსავლების სახით და საგარეჯოს გამგეობის მიერ შპს „საგარეჯოს“ დაფუძნებით. ამის გამო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: სხვა შემოსავლები გაიზარდა 13591,16 ლარით, არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ მიერ პროექტის „ახალგაზრდულობის ჩართულობის და სოციალური ანგარიშვალდებულების“ ფარგლებში დაფინანსდა 12 სოფლის კლუბში ინტერნეტით მომსახურება მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე. სოფლის კლუბები აღიჭურვა მუსიკალური ცენტრით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, საოფისე ავეჯით და კომპიუტერებით.

აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირების და ლაბორატორიული კვლევა“-ს სუბსიდია ფუნქციების დამატებასთან დაკავშირებით გაიზარდა 30000 ლარით და ამავე თანხით შემცირდა წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შპს „საგარეჯოს“ დაფინანსება მოხდება 31400 ლარით. სუბსიდია გათვალისწინებულია 6 თვეზე – მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე. ხელფასის ფონდი 28260 ლარი, ოფისის ხარჯი – 290 ლარი, ადმინისტრაციის საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი – 1350 ლარი, სატვირთო ავტომობილების მიმდინარე რემონტის ხარჯი – 5000 ლარი, სპეცტექნიკის ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შენახვის ხარჯი – 5000 ლარი, სპეცტექნიკისთვის საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი – 11500 ლარი. აქედან გამომდინარე ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია ხარჯებში 21500 ლარით შემცირდა საწვავ-საპოხი მასალების შეძენის ხარჯი. მუნიციპალოიტეტის გამგეობის შრომის ანაზღაურება შემცირდა 4800 ლარით (ორი სპეციალისტი ადგილობრივი მოსაკრებლის ადმინისტრირების საკითხებში), შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება შემცირდა მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯებში 4800 ლარით (ორი მძღოლი სატვირთო ავტომანქანის). შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება შემცირდა ხევების, კალაპოტების გამაგრება-გაწმენდის ხარჯებში 5400 ლარით (2 ტრაქტორისტი). 14900 ლარზე მოხდა წინა წლის ნაშთის გამოყენება.

მოსმენილ საკითხებზე შეკითხვები დასვეს და იმსჯელეს საკრებულოს დეპუტატებმა ზურაბ ქურთიშვილმა და გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა.

დღის წესრიგის II და III საკითხებზე, რომლებიც შეეხებოდა მოქალაქეთა კუთვნილებაში არსებული საცხოვრებელი სახლების ნუმერაციის მინიჭებას – მოხსენება გააკეთა ***საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარემ*** **ᲔᲚᲓᲐᲠ ᲛᲔᲤᲐᲠᲘᲫᲔᲛ**.

დეპუტატებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები.

სხდომას ესწრებოდა ***მუნიციპალიტეტის გამგებელი*** **ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲑᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.**

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ მუნიციპალიტეტის გამგეობის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები*** **ᲑᲘᲝᲠᲑᲘ ᲠᲔᲕᲐᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ** წარმართავდნენ. მათ გამგებლის წარმომადგენლებისგან მოისმინეს ზეპირი ინფორმაციები თემებსა და ცალკეულ სოფლებში შექმნილი მდგომარეობის შ სახებ. იორმუღანლოში გამგებლის წარმომადგენლის ნათიკ რასულოვის ინფორმაციით მაისში სტიქიისგან იორმუღანლოს შესასვლელში 150 მეტრი სიგრძის გზა ისეა დაზიანებული, მანქანებს, ფეხითმოსიარულეებს უჭირთ მოძრაობა, ხაშმის გამგებლის წარმომადგენლის ზურაბ ყირმელაშვილის ინფორმაციით, სასმელი წყალი სოფლის მოსახლეობას ნორმალურად მიეწოდება.

თათბირზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსმა ნიკო ჯავახიშვილმა გააკეთა ინფორმაცია მაისში მოსული სეტყვით დაზიანებულ ბენეფიციართა მიმართ მთავრობისგან გაწეული დახმარების შესახებ. როგორც მან აღნიშნა, 15 მაისს სეტყვით დაზიანებულთა აგრობარათებზე დაირიცხა შესაბამისი ქულები, რომელთა განულება ბენეფიციარმა უნდა შეძლოს 1 ივლისამდე. აქვე გააკეთა ინფორმაცია ვენახების სასწრაფო წამლობისათვის. როგორც მან აღნიშნა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ვენახებში გამოსულია ყურძნის ჭიის პირველი თაობის ერთეული მატლები. ამიტომ საჭიროა ვენახის წამლობა რომელიმე შესაბამისი ინსექტიციდით. ინსექტიციდის კომბინირება დასაშვებია ჭრაქის საწინააღმდეგო რომელიმე პრეპარატთან, გარდა შაბიამნისა.

თათბირზე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ გიორგი რევაზიშვილმა გამგებლის წარმომადგენლებს სასიხარულო ინფორმაცია გადასცა – მთის კანონი შეეხო ჩვენი მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელს. მათ შორისაა კოჭბანის თემი, უჯარმის თემი (გარდა სოფელი პალდო), ანთოკი, სათაფლე.

ᲓᲝᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ

ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ფარგლებში ასფალტის საფარი მოეწყობა 900 მ სიგრძის მონაკვეთზე და გაიწმინდება სანიაღვრე არხები. სამუშაოების დასრულების შემდეგ ქუჩის მაცხოვრებლები გადაადგილებას კომფორტულ, კეთილმოწყობილი ქუჩით შეძლებენ. შეგახსენებთ, რომ აღნიშნულ ქუჩაზე ასფალტის საფარი არასოდეს ყოფილა. დოდაშვილის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან 190 190 ლარი არის გამოყოფილი.

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ – 2016

ᲐᲗᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ მუნიციპალიტეტის სოფ. შიბლიანამდე მისასვლელ ცენტრალურ გზაზე ასფალტის დასაგებად მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობს. სოფ.შიბლიანის ცენტრალური გზის კეთილმოწყობისთვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან 373 700 ლარი არის გამოყოფილი. პროექტის ფარგლებში მოხდება 1,5 კმ გზის მონაკვეთის მოასფალტება და ადგილობრივი მოსახლეობისთვის გადაადგილება უსაფრთხო და კომფორტული გახდება. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშულ გზაზე 30 წელზე მეტია არანაირი ინფრასტრუქტურული პროექტი არ განხორციელებულა.

ჩვენი მუნიციპალიტეტი

სოფელი ხაშმი

„ხაშმი“ ძველ ქართულში ავზნიანს ნიშნავს. ისტორია გადმოგვცემს, რომ ამ ადგილზე ადამიანები ცხოვრების დაწყებას, დასახლებას თავს არიდებდნენ. XII საუკუნეში თამარ მეფემ დავით გარეჯის მონასტრებიდან იქ ბერები გაგზავნა დავალებით – დაეთესათ საფერავის ჯიშის ყურძენი, გაეშენებინათ ვაზი და ეზრუნათ იქ მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მას შემდეგ საუკუნეები გავიდა. ხაშმურმა საფერავმა თავის დადებით თვისებებთან ერთად სამკურნალო თვისებებიც გამოამჟღავნა. როგორც ცნობილია, იაპონელებმა ხიროსიმასა და ნაგასაკში ატომური ბომბის აფეთქების შემდეგ ხაშმის საფერავზე მოთხოვნა საბჭოთა კავშირის ხელისუფლებას წარმოუდგინა – ხაშმური საფერავი რადიაციულ დონეს მნიშვნელოვნად ამცირებსო... და დღეს ხაშმის საფერავი ყველაზე ძვირფასი კვების პროდუქტი და ძვირადღირებული სასმელიცაა...

კომლი – 750

მოსახლეობა – 1700 კაცი

სოფელი მთლიანად 3350 ჰექტარ მიწის ფართობს ფლობს.

სავარგულები 3060 ჰა-ია, სახნავ-სათესი – 1575ჰა, საძოვარი – 1158ჰა, ნარგავები – 227 ჰა.

<u>ინფრასტრუქტურა</u>

გასულ წლებში სოფელში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით,ცენტრალური ბიუჯეტის და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. ასე, მაგალითად, 2014 წელს მოხდა სასმელი წყლის ცენტრალური მილსადენის რეაბილიტაცია („სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამა), გზის საფარის სრული აღდგენა 13000 მ2 სიგრძის (რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით). 2015 წელს „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით აქ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისა და მისი ეზოს მოწყობა-რეაბილიტაცია მოხდა.

მელიორატორები

2016 წელს კი სოფელში ისეთი პროექტი განხორციელდა რეგიონული ფონდის დაფინანსებით, რომელიც ხაშმის არსებობის ისტორიას არ ახსოვს – აქ მთლიანად შეიცვალა სასმელი წყლის ძველი მილსადენი (7,5-8 კმ), დაიდგა საქლორატორო, ისეთ უბნებში გავიდა წყალი (მაგალითად „წითლობისა“ და „აჭარელების“ უბნებში), სადაც საერთოდ არ ყოფილა სასმელი წყლის მაგისტრალი, გაკეთდა ახალი სათავე-ნაგებობა. თუ 2015 წლამდე სოფლის მოსახლეობის 40%-ს არ ჰქონდა სასმელი წყლის ონკანი, ახლა თითოეულ მოსახლეს აქვს და ეს სამუშაოები „გაზტექმშენის“ მშენებლებმა სამ თვეში შეასრულეს. ახლა მხოლოდ მოსახლეობის კეთილსინდისიერ მოპყრობაზეა დამოკიდებული – სასმელი წყლის ყაირათიანად ხარჯვა და მისი მოფრთხილება.

„აჭარელების“ უბანში

მიმდინარე წელს სოფელში ისეთი პროექტი განხორციელდა, რომელმაც თითქმის 30 წლიანი პრობლემა მოაგვარა – აქ იმ სარწყავი არხის გაწმენდა-რეაბილიტაცია

მოხდა, რომელიც სოფელში, ცენტრალურ ქუჩაზე გადის – წლების განმავლობაში სარწყავი არხი თითქმის უფუნქციოდ იყო – გასაწმენდი და ამორტიზებული. გაწმენდა-სარეაბილიტაციო სამუშაოებს ყოველდღიურად აქ ქვემო სამგორის „სერვის-ცენტრის“ მარჯვენა მაგისტრალური არხის (უფროსი დ. ზუკაიშვილი) ხელმძღვანელობა და ხაშმის სარწყავი სისტემის უბნის უფროსი ლალი პარუნაშვილი ზედამხედველობს. გაწმენდით სამუშაოებზე 6 ერთეული მძიმე ტექნიკა და 7 ადგილობრივი მაცხოვრებელია დასაქმებული. სამუშაოები 15 აპრილს დაიწყო, საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოებს სწრაფი ტემპით ასრულებენ, რადგან მოსახლეობას უკვე სჭირდება სარწყავი წყალი. სარწყავი წყლის მაგისტრალი სოფელში ორად იყოფა და ხაშმელთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს სარწყავი წყლით ამარაგებს. ერთი მაგისტრალის სიგრძე 8,5 კმ-ია, მეორის – 4კმ. სარწყავი წყალი, რომელიც მდინარე ივრიდან რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალამდე, შემდეგ კი ე.წ. ივრის რკინიგზის სადგურამდე ჩადის დღეისთვის 300 ჰა მიწას გაასარწყავებს, ისე კი, მას 600 ჰა მიწისთვის შეუძლია მომსახურების გაწევა. აქ სულ 8 გამანაწილებელია, პირველ მაგისტრალზე – 3, მეორეზე – 5. ჩვენი სტუმრობისას (17 მაისი) ქვემო სამგორის „სერვის ცენტრის“ მარჯვენა მაგისტრალური არხის უფროსი დათო ზუკაიშვილი შეგვპირდა – 2-3 დღეში დავამთავრებთ ამ სამუშაოებს – მიწა უკვე სარწყავ წყალს ითხოვსო (დღეისათვის ეს სამუშაოები დამთავრებულია). თუმცა, აქ არ შეიძლება არ შევეხოთ იმ სირთულეებს, რომლებიც ამ სამუშაოების შესრულებისას მუშებს შეხვდათ – სარწყავ არხზე მოსახლეობას სხვადასხვა სათავსოები აქვთ დაშენებული, ამასთან, ზოგიერთს სახლიც...

2016 წელს ხაშმში რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით სკოლასთან მისასვლელ გზაზე დაიგება ასფალტის საფარი და მოეწყობა სანიაღვრე არხები, რაც კიდევ ერთხელ გააუმჯობესებს სოფლის ინფრასტრუქტურას და სკოლის მოსწავლეები შეძლებენ კომფორტულ გადაადგილებას.

გამგებლის წარმომადგენელი ზურაბ ყირმელაშვილი

რაც შეეხება „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამიდან დაფინანსებით,აქ 14070 ლარია გამოყოფილი შიდა სასოფლო გზების და სანიაღვრე არხების მოწყობა-რეაბილიტაციისთვის, გარე განათების მოსაწყობად კი – 20309 ლარი. ამასთან, 2014-2015 წლებში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამიდან მორჩენილი თანხებიდან 1920 ლარი – კულტურის სახლის სახურავის, 4355 ლარი – სასმელი წყლის ცენტრალური მაგისტრალის და 1920 ლარი სოფლის შიდა გზების რეაბილიტაციას მოხმარდება.



დეკუტატი ვანო ქარუმიძე

სოფელი გაზიფიცირებულია და გამრიცხველიანებულია

<u>სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება.</u>

დაწესებულების მენეჯერია **მაია ძუმეთიანი.** აქ 49 აღსაზრდელი 2 სააღმზრდელო ჯგუფშია გაერთიანებული. მათ

სწავლა-აღზრდას აღმზრდელ-პედაგოგები – ინგა მესტვირიშვილი, ნანა მამუჩიშვილი, აღმზრდელის თანაშემწეები – ნინო მზარეულაშვილი, ნინო ჯერენაშვილი, აღმზრდელ-ფსიქოლოგი ხატია ლეჟავა, აღმზრდელ ლოგოპედი ნუნუ გასვიანი, მუსიკის მასწავლებელი მაია არაბული, მზარეული დალი ოსიყმაშვილი, მედდა მარინე ხაბაზიშვილი-ქევხიშვილი, დამლაგებელი თეა გილაშვილი ემსახურება.

დაწესებულების უფროსი ასაკის ჯგუფში 33 აღსაზრდელია, საიდანაც 15 აღსაზრდელი სექტემბერში სკოლის კარებს პირველად შეხსნის.

11 მაისს აქ ინტეგრირებული მეცადინეობა ჩატარდა ლოგოპედიასა და მუსიკაში, სადაც მოწვეული იყვნენ მუნიციპალიტეტის სხვა სკოლამდელი აღზრდის პედაგოგები გამოცდილების გასაზიარებლად.

დაწესებულების აღსაზრდელებს შენობაში ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი მეცადინეობისათვის, მაგრამ ეზოში ეზოს სათამაშოები არ აქვთ.

<u>*დასასრული შემდეგ ნომერში*</u>

ჩვენი მუნიციპალიტეტი

ქალაქი საგარეჯო

გაგრძელება
დასაწყისი იხ. „გარეჯის მაცნე“ №9,10

სპორტი

საგარეჯოელი სპორტსმენებისთვის ყველა პირობაა შექმნილი სპორტული წვრთნისა და მაღალი სპორტული შედეგების მისაღწევად. (აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების დირექტორია გიორგი მაისურაძე) ქალაქის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სამი საჭიდაო დარბაზი, 1 კრივის დარბაზი, სადაც 250-

ზე მეტი აღსაზრდელი თავისუფალი ჭიდაობის, ძიუდოს, სამბოს, ტაეკვანდოს და კრივის ილეთებს ეუფლება. მათ სპორტულ აღზრდას 10 მწვრთნელი ემსახურება. სამიდან ერთი საჭიდაო დარბაზი დათმობილი აქვს გოგონათა ძიუდოს სექციას (მწვრთნელი ლუდა ფერაძე), რომლის აღსაზრდელებმა თავიანთი სიტყვა თქვეს

რესპუბლიკის, სხვადასხვა ქვეყნების საჭიდაო დარბაზებში.

ქალაქში ფუნქციონირებს 9 სპორტული სექცია, სადაც 350 აღსაზრდელს 28 მწვრთნელი ემსახურება.

ჭადრაკის სამი სექციის ნორჩმა მოჭადრაკეებმა უკვე მრავალ წარმატებებს მიაღწიეს.

ფეხბურთელთა გუნდ “გარეჯში” სხვადასხვა ასაკის მოსწავლეები ორ გუნდში არიან გაერთიანებული, სადაც 7 მწვრთნელია.

რაგბის სექციის რაგბისტებმა თავიანთი წარმატებებით ისახელეს თავი.

820 მ2 ფართობზეა განთავსებული აიპ “სპორტულ გამაჯანსაღებელი კომპლექსი” საცურაო აუზით.

მალე დაიწყება ქალაქში არსებული სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზედაც 1 მილიონ 200000 ლარია გამოყოფილი. (*ვრცლად იხილეთ მე-5-მე-6 გვერდებზე*)

კულტურა

აიპ „კულტურის ობიექტების გაერთიანებაში (*დირექტორი* ბესო ღვინაშვილი) რამდენიმე ობიექტია გაერთიანებული: ქ. **საგარეჯოს კულტურის სახლი,** მასთან არსებული **თეატრალური დასი, თოჯინების თეატრი, ქალთა ანსამბლი „ჩინარი“, ვაჟთა ანსამბლი „გარეჯი“, და ცეკვის ანსამბლები, საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სახელოვნებო სკოლა, ვანო მჭედლიშვილის სახელობის საეკლესიო გალობის და ხალხური სიმღერის სახელოსნო, ბიბლიოთეკები.**

მიმდინარე წლის იანვარში საგარეჯოს თეატრალურ დასს 140 წელი შეუსრულდა. 1959 წელს კულტურის სახლის დრამატულ დასს სახალხო დასის სახელწოდება მიენიჭა. სახალხო დასი, რომლის შემადგენლობაში არიან მსახიობები: პაატა ქვლივიძე, მიშა ხოკერაშვილი, ნანული ბილანიშვილი, ბადრი დრეიძე, თინათინ მეზვრიშვილი, მარინა შიოშვილი, დარეჯან ლოლაძე, შალვა ივანიაშვილი, ფატი ღვინიაშვილი, ნათელა

დიღმელაშვილი, გიორგი ესაიაშვილი, ირაკლი ლიპარტელიანი, ანანო ქვლივიძე, რეჟისორ ნიკა საბაშვილის ხელმძღვანელობით ბოლო ხუთი წელია წარმატებით ართმევს თავს მასზე დაკისრებულ საპატიო მოვალეობას. თუმცა, ამ თეატრის მსახიობების პაატა ქვლივიძისა და მიშა ხოკერაშვილის სცენარითა და რეჟისურით დადგმული პიესა “ მე ნუ დამადანაშაულებ

“ ნაკლებ წარმატებული არ ყოფილა.

საგარეჯოს თოჯინების სახალხო თეატრი თებერვალში უკვე 60 წლის გახდა. 1956 წლის თებერვალში დაბადებული თოჯინების წრე 1975 წლიდან თოჯინების თეატრის სტატუსის მფლობელი გახდა. 1994 წლიდან კი მას თოჯინების სახალხო თეატრის წოდება მიენიჭა. დღეს მისი დასის შემადგენლობაში არიან მარინა შიოშვილი (დირექტორი),

მიშა ხოკერაშვილი, ბადრი დრეიძე, ფატი ღვინიაშვილი, ირაკლი ლიპარტელიანი, პაატა ქვლივიძე, თინათინ მეზვრიშვილი, ნანული ბილანიშვილი, თამარ იორამაშვილი (მხატვარი).

საბანმანათლებლო

ქალაქ საგარეჯოში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა (მენეჯერი **ლია გოდერძიშვილი**) 50 ათასი წიგნადი ფონდითა და 13 თანამშრომლით. ბიბლიოთეკას აქვს სამკითხველო დარბაზი, წიგნსაცავი. აქ ხშირად საინტერესო ღონისძიებები იმართება, რომელშიც ქალაქის ახალგაზრდობასა და ქალაქის სკოლების მოსწავლეებთან ერთად, ჩვენი მუნიციპალიტეტის სხვა სკოლების მოსწავლეებიც იღებენ მონაწილეობას.

მუზეუმი

საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმს (მენეჯერი **ბადრი დრეიძე**) წელს 58 წელი უსრულდება, თუმცა მუზეუმი 1962 წელს გაიხსნა ოფიციალურად. დღეს მუზეუმში, მუზეუმის თანამშრომელთა ძალისხმევითა და რუდუნებით შეკრებილი, მოძიებული, აღნუსხული დიდძალი მასალა ინახება. საინტერესოა ქვის ხანის ქვის “ხელცული”. აქ დაცულია ბრინჯაოს ხანის ექსპონატები, რომლებიც ძვ. წ. აღ-ის 28-27 საუკუნეებით თარიღდება. ძვ. წ. აღ-ის IX-VIII საუკუნეებით თარიღდება ბრინჯაოს გრავირებული სარტყელი, III-II ათასწლეულებით დათარიღებული ბრინჯაოს მხედარი, ასევე, ექსპონატებს შორისაა ეროვნული ტანსაცმელი, დასაკრავი ინსტრუმენტები, შრომის იარაღები. ყურადღებას იპყრობს საარქივო მასალა, რომელიც ჩვენი რაიონის, ჩვენი ქალაქის შესახებ მეტად საინტერესო ინფორმაციას იძლევა. მუზეუმის თანამშრომლები ქეთევან ქურთიშვილი, დალი გოგიტაშვილი, ცისმარ მამისაშვილი, მარინე ილაური აქ მოსულ დამთვალიერებლებს დიდი გულისყურით ხვდებიან და აცნობენ რაიონის ისტორიას. მუზეუმის მენეჯერი კი, რაიონის მართლაც ცოცხალი მემატიანე და კოლორიტული პიროვნება ბადრი დრეიძე ყველანაირად ცდილობს მუზეუმისათვის იმ სახის მიცემას, რაც ამ დაწესებულებას მოეთხოვება...

საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი

საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი (მენეჯერი **თამარ ჯაბადარი**) 60 წელზე მეტი ასაკისაა. აქ მთელი მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობა, საჯარო სკოლების მოსწავლეები არიან გაერთიანებული სხვადასხვა კლუბებში. სახლის 7 პედაგოგი კლუბურ მუშაობაში 80-ზე მეტ მოსწავლესთან წარმატებით წარმართავს მუშაობას – საერთაშორისო ურთიერთობების, ინტელექტუალთა, ხატვის, მათემატიკის, გოგონათა (დიზაინის), მხატვრული კითხვის, უცხო ენების – ინგლისური, რუსული ენის კლუბებსა და საბავშვო თეატრში.

დაბასრული შემდეგ ნომერში

სპორტსმენთა მხარდამჭერები

„გარეკახეთი ჭიდაობის სამჭედლოა“

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სპორტულ არენებზე საყოველთაოდაა ცნობილი ჩვენი მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა წარმატებები, უფრო მეტად კი მოჭიდავეთა ის არნახული გამარჯვებები, რომლებსაც მაყურებელი და გულშემატკივარი ფეხზე მდგომი მხურვალე ოვაციებით აჯილდოებდა და აჯილდოებს. ასე გახდა ცნობილი საქართველოს სახელი ჯერ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, არსენ მეკოკიშვილის მიერ, შემდეგ კი ევროპისა და მსოფლიოს ქვეყნები აალაპარაკეს ლევან თედიაშვილმა, გივი ონაშვილმა, სპარტაკ ქარსაულიძემ, ძმებმა თენგიზ და მურთაზ ელერდაშვილებმა, შალვა გზირიშვილმა, ანზორ ზურაბაულმა, ანზორ კიკნაძემ, თამაზ გეგეშიძემ, ტარიელ როსტომაშვილმა, რამაზ, პაატა და დათო ბუზარიაშვილებმა, მამუკა კურდღელაშვილმა, უშანგი კუზანაშვილმა, გოგიტა რევაზიშვილმა, მამუკა მათიაშვილმა, ვახტანგ ხოსიტაშვილმა, დავით სვიმონიშვილმა... მათ ნაკვალევს დღეს მნიშვნელოვანი გამარჯვებებით მიუყვებიან კობა მჭედლიშვილი, ირაკლი კუპატაძე, თამაზ კირაკოზაშვილი, სიმონ მამარდაშვილი, ვანო მამისაშვილი, ბექა ტერტერაშვილი, ზაზა როსტომაშვილი, სოლომონ თედიაშვილი, ამირან დარბაისელი, გიორგი მღებრიშვილი, ნიკა ბასილაშვილი და სხვები...

დღეისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სპორტულ სექციებს თითქმის ყველა პირობა აქვთ შექმნილი ნორმალური ვარჯიშისათვის. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის და უშუალოდ მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი გზირიშვილის თანადგომით საგარეჯოში არსებულ არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტულ დარბაზს გაუკეთდა გათბობის სიტემა, პირველ და მეორე სართულებს შეეცვალა კარ-ფანჯარა, რამაც გარდა გარეგნული იერ-სახისა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სპორტსმენთა ვარჯიშისა და დასვენების პირობები...

*— საგარეჯო ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისიდან ადიარეს ჭიდაობის სამჭედლოდ,— მეუბნება აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექტორი გიორგი მაისურაძე — გარეკახელ სპორტსმენებს არასოდეს ჰკლებიათ მზრუნველობა და ყურადღება, დღეს კი ეს ... ეს ... ...

ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲔᲑᲘ

„ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲮᲔᲗᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲭᲔᲓᲚᲝᲐ“

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ

ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲘᲓ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲠᲣᲜᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ ᲛᲘᲒᲕᲘᲗᲘᲗᲔᲑᲡ. ᲓᲐ ᲔᲡ ᲐᲡᲔ-ᲪᲐᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲣᲠᲐᲓ ᲔᲒᲠᲔᲗᲜᲝᲗ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲕᲣᲗᲮᲠᲐ. ᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ ᲙᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲡ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ. ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲐᲠ-ᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲪ. ᲮᲔᲓᲐᲕᲔᲜ ᲠᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲡ, ᲐᲠᲪ ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲮᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲔᲑᲘ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲠᲩᲔᲑᲘᲐᲜ ᲕᲐᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐᲡ. ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲐᲦᲬᲘᲜᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲗᲐᲜᲐᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲗᲐ, ᲒᲕᲔᲠᲓᲨᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲯᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲚᲘᲡ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲖᲘᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲛᲘᲜᲓᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲘᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ, ᲛᲐᲗᲘ ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲕᲣᲗᲮᲠᲐ. ᲔᲡ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ ᲙᲘ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲢᲘᲛᲣᲚᲡ ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ. ᲓᲐ ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲒᲕᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲐᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲖᲠᲓᲔᲚ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲪ. ᲩᲕᲔᲜ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲡ, ᲐᲠᲪ ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲮᲔᲚᲘ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲔᲑᲘ, ᲣᲑᲠᲐᲚᲝ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲠᲩᲔᲑᲘᲐᲜ ᲕᲐᲚᲨᲘ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐᲡ. ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲐᲦᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡ ᲐᲦᲬᲘᲜᲔᲑᲐᲡ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲗᲐᲜᲐᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲔᲜᲐᲢᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐᲪ. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲮᲐᲚ-ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ. ᲕᲔᲪᲓᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲠᲔᲯᲣᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲭᲔᲓᲚᲝᲓᲐᲜ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲭᲔᲓᲝᲡ.

სულ ახლახანს ჩვენი „პატარძეულელი ოლიმპიელის“ გივი ონაშვილის თაოსნობით არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტული დარბაზის კედელზე გაკეთდა გარეკახელ მოჭიდავეთა ფოტო-სტენდი, რომელმაც ჩვენი მუნიციპალიტეტისა და არა მარტო ჩვენი მუნიციპალიტეტის, საგარეჯოს სტუმრების დიდი მოწონება დაიმსახურა. ამით ვფიქრობთ ჩვენ იმ სპორტსმენთა სახელების უკვდავყოფას, რომლებმაც გარეკახეთი ჭიდაობის სამჭედლოდ აქციეს და ამასთან, მომავალ თაობას ეცოდინება სახელოვანი ადამიანები. ამავე სპორტულ დარბაზში მისივე თაოსნობით გაკეთდა სპორტსმენებისათვის ორთქლის აბანო, მოწესრიგდა კვების ბლოკი, ნაწილობრივ ამოიცვალა იატაკი... თავისუფალი ჭიდაობის სექციას, რომელიც არასაუწყებო დაცვის სპორტულ დარბაზში ფუნქციონირებს, არ ჰქონდა გათბობა, ორთქლის აბანო. მისი გაკეთება კი საკმაოდ სოლიდური თანხა დაჯდა, რაც ყოფილ სპორტსმენთაგან შემოწირულობებით გაკეთდა. დღეს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი წარმატებული ვარჯიშებისათვის.

კრივის სექცია დღეს იმ სპორტულ დარბაზში ფუნქციონირებს, რომელიც კეთილი ნებით ყოფილმა მოჭიდავემ და დღეს ჭიდაობის სექციის ხელისშემწყობმა გია მარხვაშვილმა დაუთმო. დარბაზი გარემონტდა, ჩაისვა ფანჯრები, მოხდა მისი ამოშენება, შეიცვალა იატაკი.

ასევე იატაკი გაკეთდა პატარძეულში არსებულ გივი ონაშვილის სახელობის სპორტდარბაზში, რომელიც ერთ დროს იავარქმნილი იყო. შენობის სახურავს გაუკეთდა წვიმის წყლის სადინარები და დღეს იქ წვიმა აღარ ჩამოდის.

რამდენიმე თვეა, რაც ხაშმში ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში კლუბის ერთი ოთახი თავისუფალი სტილის მოჭიდავეებს დაეთმო. დარბაზს სამშენებლო მასალებით და მოსწავლეთა ჭიდაობის ფორმებით უზრუნველსაყოფად კვლავ ჭიდაობის, სპორტის ხელშემწყობნი დაეხმარნენ...

საგარეჯოს III საჯარო სკოლის წინ, ქალაქის ცენტრალურ (ლეონიძის ქუჩაზე) დავრგეთ და ვახარეთ მწვანე ნარგაობები.

ზემოთ ჩამოთვლილი თითქმის ყველა საქმის წამომწყები, ინიციატორი და ორგანიზატორი ბ-ნი გივი ონაშვილია, მაგრამ მას მხარში ყველა მთავარი სპეციალისტი უდგას. თავდაპირველად მათი საქმიანობა მართალია სპორტული დარბაზის მოწესრიგებით დაიწყო, მაგრამ მათ ასევე მოაწესრიგეს ადმინისტრაციის სპეციალისტების ოთახი, სველი წერტილები. ამ ჯგუფს ჩვენ შეიძლება საინიციატივო ჯგუფიც ვუწოდოთ, რომლებიც უანგაროდ, დიდი გულშემატკივრობით ცდილობენ იმ პრობლემების მოგვარებას, რომელთა მოგვარებაც მათ ხელეწიფებათ, ცდილობენ თავიანთი წვლილი შეიტანონ გარეკახელ სპორტსმენთა წარმატებებში და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა უფრო დიდი მასშტაბის პრობლემების მოგვარებისთვის განაწყონ. მინდა გითხრათ, რომ მიუხედავად იმისა, მართლაც მასშტაბური საქმე გაკეთდა ბოლო ორ წელიწადში ჩვენს სპორტულ დარბაზში მუნიციპალიტეტის მხრუნველობით, კიდევ რჩება გარკვეული საკითხები მოსაგვარებელი (ეს ბუნებრივიცაა), რომელთა მოგვარებაში აქტიურად გვიდგას მხარში მუნიციპალიტეტის გამგეობა, რაშიც მას დიდ მადლობას ვუხდით.

კარგად მოგეხსენებათ, ბოლო ხანს ჩვენი ძიუდოისტი ბიჭების, გოგონების, მოკრივეების, მოჭადრაკეების მიერ მიღწეული წარმატებები. ჩვენ ახლა ახალ-ახალი წარმატებებისათვის ვემზადებით. ვეცდებით გარეჯული ჭიდაობის სამჭედლოდან უფრო მეტი სპორტსმენი გამოიჭედოს.

ᲙᲠᲘᲕᲘ

10 ᲛᲔᲓᲐᲚᲘ, ᲐᲥᲓᲐᲜ 6 ᲝᲥᲠᲝ

ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ რაიონის სოფელ ციხისძირში კრივში გამართულ საქალაქთაშორისო შეჯიბრებაში 2004-2008 წლებში დაბადებული ნორჩი მოკრივეები იღებდნენ მონაწილეობას. აქ წარმოდგენილი იყო ახმეტის, დუშეთის, ქსანის, ჭიათურისა და საგარეჯოს მოკრივეები. გარეჯელ მოკრივეთაგან 6 ოქრო მოიპოვეს დავით ბასილაშვილმა, ბაქარ ბარამაშვილმა, თენგო და გიორგი ივანიძეებმა, დავით ბექაურმა, ავთუკა დიღმელაშვილმა. მეორე ადგილზე გავიდნენ: გოგა საგინაშვილი, თემურ ჭიაბერაშვილი, ალექსი დიღმელაშვილი და მალხაზ აფციაური. როგორც მათმა მწვრთნელმა ზურაბ იმნაძემ გვითხრა, შეჯიბრში საგარეჯოდან 12 მოკრივე იღებდა მონაწილეობას, მათგან 10 ხელდამშვენებული და სახელოვანი დაუბრუნდნენ მშობლიურ რაიონს.

ᲫᲘᲣ-ᲓᲝ

ᲠᲝᲘᲜ ᲧᲝᲠᲓᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ XVII ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲖᲔ

ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ბოლოს საგარეჯოს არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტული კომპლექსის ძიუდოს დარბაზში ჩატარდა სამბოში ყოფილი სსრკ-ს ჩემპიონის, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონისა და დამსახურებული მწვრთნელის როინ ყორდანაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი, რიგით მეჩვიდმეტე ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში 2003-2005 წლიან ჭაბუკებსა და 2000-2004 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის.

ტურნირში თბილისის სხვადასხვა სპორტული საზოგადოებების, დუშეთის, კასპის, ზესტაფონის, ასპინძის, გორის და სხვა მუნიციპალიტეტების მოჭიდავეთა შორის ასპარეზობდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ ჭაბუკთა და გოგონათა ნაკრები გუნდები.

ასპარეზობა პირველებმა 23 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეებმა გახსნეს, სადაც ყველა საპრიზო ადგილი მასპინძელმა პატარა საგარეჯოელმა ძიუდოისტებმა დაიკავეს. აქ პირველ ადგილზე გავიდა ვანო ჭიაბერაშვილი, მეორეზე ლუკა კანჯარაშვილი, მესამეზე – ლუკა დარისპანაშვილი და გიორგი ხერგიანი.

26 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა საგარეჯოელი შოთა ბაჩოშვილი, მესამე ადგილები გაიყვეს ონისე ბორაშვილმა და გიგა ბაქარაშვილმა..

29 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი ისევ საგარეჯოელი ფალავანი დავით კევლიშვილი გახდა. მესამე ადგილი დაიკავა მისმა თანაგუნდელმა ლევან ღრეულმა.

32 კგ წონით კატეგორიაში საგარეჯოელთაგან მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა თენგიზ მაისაშვილი. შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს 35 კგ წონით კატეგორიაში ირაკლი იოსელიანმა, გიორგი სონიძემ და თენგიზ ზირაქაშვილმა.

50 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა საგარეჯოელი ძიუდოისტი გიორგი დურიშვილი, რომელმაც ფინალური შეხვედრაში დაამარცხა თანაგუნდელი თენგო ხებრელაშვილი.

უფრო შედეგიანი გამოდგა ტურნირი საგარეჯოელი ძიუდოისტი გოგონებისათვის, რომლებიც თითქმის ყველა წონით კატეგორიაში ლიდერობდნენ. შეჯიბრების დამწყები 28 კგ წონით კატეგორიის საპრიზო სამეული საგარეჯოელი გოგონებით დაკომპლექტდა. აქ ჩემპიონი გახდა მარი ხოსიტაშვილი, მეორე ადგილი დაიკავა ლალი ფოცხვერაშვილმა, მესამე – თამთა სუხიაშვილმა.

32 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონობა იზეიმა სალომე არაბულმა. 40 კგ წონით კატეგორიაში – სალომე გულისაშვილმა, მესამე ადგილი დაიკავა ანა ასანიშვილმა.

44 კგ წონით კატეგორიაში სამივე საპრიზო ადგილი ჩვენმა მოჭიდავე გოგონებმა დაიკავეს. აქ ჩემპიონი გახდა მარიამ ლაფაჩიშვილი, მეორე ადგილზე გავიდა – ვარდიკო ბუჩაშვილი, მესამეზე – ანა ივანიაშვილი.

48 კგ წონით კატეგორიაში საფინალო ორთაბრძოლა ორ საგარეჯოელს შორის – სალომე ბლიაძესა და ხატია მინდიაშვილს შორის გაიმართა, სადაც იმარჯვა და ჩემპიონი გახდა სალომე ბლიაძე.

იგივე განმეორდა მომდევნო 52 კგ წონით კატეგორიაში, სადაც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მარი კოხტაშვილი და ხათუნა თვაური – ეს პაექრობა მარი კოხტაშვილის გამარჯვებითა და ჩემპიონობით დასრულდა.

ამის შემდეგ მომდევნო ორი წონითი კატეგორიიდან საგარეჯოელთაგან +63 კგ წონით კატეგორიაში III საპრიზო ადგილზე გავიდა მზია ტაკაშვილი.

საგარეჯოს გუნდები ამ ასპარეზობისათვის მოამზადეს მწვრთნელებმა მამუკა მათიაშვილმა, ნუკრი გაგნაშვილმა, კახა ყორდანაშვილმა, ლევან ბასილაშვილმა (ჭაბუკები), ლუდმილა ფერაძემ (გოგონები). საპრიზო ადგილებზე გასული საგარეჯოელი და სხვა ძიუდოისტები დაჯილდოვდნენ აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ შესაბამისი სიგელებითა და მედლებით.

Გ. ᲓᲐᲒᲐᲮᲝᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲗᲘ

ᲐᲥ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲞᲐᲢᲐᲠᲫᲔᲣᲚᲘᲡ გივი ონაშვილის სახელობის საჭიდაო დარბაზის ძიუდოს სექციაში (მწვრთნელი ლუხუმ სუხაშვილი) 20 მოსწავლეა გაერთიანებული. ლექსო და გიორგი ზუკაკიშვილი, გიორგი შალვაშვილი, გიორგი თათრიშვილი, კახა ჯანდაგაშვილი, გოგა ლაფერიშვილი, გიორგი ცხვარიაშვილი, გიორგი, ნიკა ბაიაშვილები, სერგი ლომიძე, გიორგი ჭინჭარაძე, დათო პატარკაციშვილი აქ ხალისით მიდიან. დათო პატარკაციშვილმა ამასწინათ რაიონის პირველობაზე პრიზიორის სახელი მოიპოვა. დარბაზში მოვარჯიშე პატარა ძიუდოისტებს ძალიან უნდათ სახელოვანი მოჭიდავეები გახდნენ. კარგად იცნობენ იმ პიროვნებას, რომლის სახელსაც დარბაზი ატარებს, მის შვილიშვილსაც ლევან მატიაშვილსაც იცნობენ, გულშემატკივრობენ მის ყოველ გამოსვლას და ჩუმი ოცნებით მის ადგილზე ყოფნას ნატრობენ. ნელ-ნელა ეჩვევიან დარბაზს გარეთ, რაიონის სპორტდარბაზში გამართულ შეჯიბრებებს, ეცნობიან სხვა სპორტულ დარბაზში მოვარჯიშე თანატოლებს, მათ გამოცდილებას და მწვრთნელთან ერთად ცდილობენ თავიანთი ოსტატობის დახვეწას.



სუდოკუ

მარტივი

4		3			1	6		8
	7				6	2		
		2	8	5				1
		1		4	8			9
6								3
5			3	1		8		
3				6	5	1		
		5	2				3	
2		6	1			9		7

საშუალო

	9	8			2		1	
			1		8		9	5
5			9			7		
		5		1			6	9
		6		8		5		
1	3			6		8		
		3			1			6
6	1		8		3			
	2		6			1	4	

რთული

		7				5		4
9			4		3	6		
4				5				1
	4			7		3	1	
			1		6			
	7	1		4			5	
5				1				9
		6	5		2			3
7		8				1		

„ბარეჯის მაცნე“ №10-ში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

4	8	7	5	1	3	9	6	2
6	3	2	9	7	4	5	8	1
1	9	5	6	8	2	4	7	3
5	6	3	8	2	1	7	9	4
7	4	8	3	9	5	2	1	6
9	2	1	4	6	7	8	3	5
2	5	6	7	3	9	1	4	8
3	1	9	2	4	8	6	5	7
8	7	4	1	5	6	3	2	9

9	7	5	1	2	4	8	3	6
2	4	3	5	6	8	7	1	9
8	1	6	3	9	7	4	5	2
6	8	4	9	5	2	3	7	1
1	2	9	4	7	3	6	8	5
5	3	7	8	1	6	9	2	4
7	9	2	6	3	1	5	4	8
4	5	1	7	8	9	2	6	3
3	6	8	2	4	5	1	9	7

8	1	7	6	4	9	5	3	2
6	5	2	3	7	8	4	1	9
3	9	4	2	5	1	6	8	7
4	8	9	1	6	7	3	2	5
5	7	6	4	3	2	1	9	8
1	2	3	9	8	5	7	4	6
7	4	5	8	9	3	2	6	1
9	3	1	7	2	6	8	5	4
2	6	8	5	1	4	9	7	3

საგარეჯოელები

შვილები – ჩემი სიმდიდრე

„მთავარი ფინანსური მდგომარეობა არ არის“...



ივნისის დასაწყისში მოვლინება პაწაწინა ანასტასია ამქვეყანას. ჯერ დედის წიაღში ნებივრობს, იზრდება, ადამიანად ყალიბდება. უკვე იცნობს დედიკოს ხმას, მამიკოს ხმასაც იცნობს. ის ერთი მამაკაცია ჯერ-ჯერობით ოჯახში და როგორ ვერ გამოიცნობს? გვანცა და ნუცაც იცის ვინ არიან. გვანცა მეშვიდე კლასს ამთავრებს, ნუცა – მეექვსეს. სწორედ ისინი არიან ანასტასიად რომ მოიხსენიებენ მომავალ დაიკოს. აი, ლიზიკოს რა მოუხერხოს არც კი იცის – ის ხომ დათუნას ეძახის, რატომდაც ჰგონია, რომ ძმა უნდა ეყოლოს... ლიზიკო 4 წლისაა, არა უშავს, ანასტასია „აპატიებს“ ამ „შეცდომას“, როგორმე მოუთმენს. თუ დათმობა არ ისწავლა, ისე როგორ იქნება. იცის, რომ დიდი მოლოდინით ელოდებიან დები, დედის მხრიდან სამი დეიდაშვილი, სამივენი ბიჭები და ბიძაშვილები – მარიამი და ვაჟიკა. მამის მხრიდანაც ელოდებიან, როგორ არ ელოდებიან, ორი მამიდა ჰყავს და ორივეს ოჯახი დიდ მოლოდინშია – მეზვრიშვილების გვარს კიდევ ერთი ლამაზი, არა, უფრო სწორად, ულამაზესი გოგონა შეემატებათ ანასტასიას სახით.

ანასტასიას დედა თინიკო მარხვაშვილი უფროსი დის და უმცროსი ძმის საოცრად ლამაზი დაიკოა. სულ 7 წლის იყო, ბედობა დღეს უკანასკნელად რომ ნახა მამიკო – საგარეჯოელებისათვის საყვარელი და უნიჭიერესი ახალგაზრდა. დედა ჩიტივით შეიფარა დაობლებული შვილები თავის უბეში ქართლიდან გამოთხოვილმა დედამ და ისე გაზარდა, სამივეს ცხოვრებისეულ გზაზე საგზლად ქართველობა და ადამიანობა ჩაუდუდაბა...

თიკო დღეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტია კადრების წარმოების საკითხებში, ადრე ამავე გამგეობის სოციალური სამსახურის სოცაგენტი იყო. ვინ, თუ არა მან, ყველაზე უკეთ იცის ქართველი დედის და მით უმეტეს, მრავალშვილიანი ოჯახების გასაჭირი... საუბარში იცით, რა მითხრა?! – მე არ ვეთანხმები ადამიანებს, რომლებიც გვიმტკიცებენ, დემოგრაფიულმა მაჩვენებელმა ფინანსური მდგომარეობის გამო იკლოო. ალბათ გინახავთ უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები, რომელთაც 6 და მეტი შვილი ჰყავთ, მაგრამ, არიან ბედნიერები და ძალიან, ძალიან მდიდრები, რადგან მათ ღმერთმა უბოძა ყველაზე დიდი საჩუქარი და წყალობა – შვილები. და თუ ადამიანი მორწმუნეა, რა აღმსარებლობისაც არ უნდა იყოს იგი, იცის, რომ ღმერთი თავის მოცემულ შვილს მშობელს გააზრდევინებს, გამოუჩენს საზრდოს, ტანსაცმელს, საშუალებას მის აღსაზრდელად. ასე, რომ ნუ დავაბრალებთ ფინანსურ მდგომარეობას... სამივე შვილი მშვიდები, წყნარები იყვნენ და ახლაც ასეთები არიან, სამივე ბუნებრივი გზით გავზარდე, ამასაც მნიშვნელობა აქვს მათ ნერვულ სისტემაზე, საერთოდ, ბავშვის ფსიქოლოგიაზე. გგონით, არ ვიღლებოდი?! მაგრამ ყველაფერს მშვიდად ვხვდები, იმ სასიამოვნო დაღლასაც, რასაც შვილებზე ზრუნვაში დათენებული დამეები და ჩამოდამებული დღეები იწვევს, წვრილმან პრობლემებსაც, რადგან იმედი და რწმენა არ მტოვებს იმისა, რომ დაღლაც, უსიამოვნებაც, პრობლემებიც მალე გაივლის და ჩემი შრომის ნაყოფი, ჩემი შვილები, ჩემი სიმდიდრე, რომელსაც ვერაფერი შეედრება, ისეთ საქართველოში იცხოვრებენ, სადაც ქართველი იქართველებს და კვლავაც მრავალშვილიანი ოჯახები მომრავლდება.

ახლა კი... ანასტასიას ვეღლოდები. საერთოდ, ოთხი შვილის დედობაზე ვოცნებობდი, აგერ მეოთხე შვილიც ივნისში შემოგვემატება და ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს.

... გავა სულ რამდენიმე წელი და საგარეჯოს ქუჩებსაც ისევე დაამშვენებს ანასტასია თავისი სილამაზით და ქალობით, როგორც დღეს დედა და მისი უფროსი დები ამშვენებენ.

გაზეთის გამოსვლამდე დაიბადა ანასტასია

ბილოცავთ!



დაბადების დღეს ვულოცავთ გამგებლის წარმომადგენელს სოფელ ბადიაურში, ლამაზი ოჯახის მშვენიერ დიასახლისს, ერთგულ მეგობარსა და საიმედო დასაყრდენს **ნანა ტაველიშვილს.** ვუსურვებთ სიყვარულს, სიხარულს, ოჯახურ ბედნიერებას და კვლავაც იმ შემართებით სოფლის პრობლემების მოგვარებას, რომელიც გადამდებია თითოეული ჩვენთაგანისათვის.

თამარ გარსევანიძე,
ანა ყაჯრიშვილი,
თინა ილაური

ნინო მამუჩიშვილი-ბაჩოშვილს!

ნინო, გილოცავთ დაბადების დღეს. სიკეთე, სიხარული, ჯანმრთელობა, ბედნიერება ყოფილიყოს შენი და შენი ოჯახის მუდმივი თანამგზავრი. გაიხარე საყვარელი და ძვირფასი შენი ოჯახის წევრებთან ერთად.

სიყვარულით და საუკეთესო სურვილებით პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის რედაქტორს ქ-ნ **თინათინ ილაურს,** ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას გახარებას შვილებთან ერთად და მისი საყვარელი სამშობლოს გამთლიანებას!

გაზეთ „გარეჯის მაცნეს“ თანამშრომლები

ქალბატონო თინათინ, გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ წარმატებებს როგორც პირად, ასევე პროფესიულ საქმიანობაში. უფალი იყოს თქვენი მფარველი.

პატივისცემით,

პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს თანამშრომლები

ღირსეულ ქალბატონს და სანიმუშო დედას, „გარეჯის მაცნეს“ რედაქტორს ქ-ნ **თინათინ ილაურს** დაბადების დღეს ვულოცავთ აიპ „საგარეჯოს სპორტული გაერთიანების“ თანამშრომლები. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და სიყვარულს თავის ლამაზ ოჯახთან ერთად. უფალი იყოს თქვენი მფარველი.

ფლები – ჩემი სიმდიდრე

ფოკუსში მოქცეული 1000 ქორწილი, უაზრავი სურათი და პაზარების სიხარული

ამ ყველაფრის შემოქმედი და ავტორი საგარეჯოელებისათვის კარგად ცნობილი პიროვნება ბიჭიკო სულიკაშვილია, ფოტოხელოვანი, რომელსაც ამ სფეროში მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. 1966 წლიდან საგარეჯოს I საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე, ამ ხელოვნებაზე ბავშვობიდანვე შეყვარებულმა, საგარეჯოს საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატის ფოტოგრაფ ვალიკო კოხტაშვილის მეშვეობით ძირფესვიანად შეისწავლა ფოტოგრაფობა და მას შემდეგ არასოდეს უდალატია მისთვის. ვალიკო კოხტაშვილის მოსწავლე მალე მის კოლეგად იქცა. წლების მანძილზე მუშაობდა კომბინატში, მერე კი ამავე სამმართველოში. საყვარელი საქმიანობისათვის არც სამხედრო-სავალდებულო სამსახურში მიუნებებია თავი. მოსკოვში, სადაც იგი მსახურობდა, უკეთესი ფოტოლაბორატორია იყო. აქ იგი უფრო საფუძვლიანად ჩაუღრმავდა ფოტოხელოვნებისა და იმ დროისათვის ახლად შემოღებული „ვსპიშკის“ – ელექტროგანათებით გადაღების საიდუმლოებას. იგი პირველი იყო, ვინც საგარეჯოში ამ ახალი მეთოდით მუშაობდა, ამიტომ იწვევდნენ მას ყველგან. იღებდა სურათებს – მევენახეობის მეურნეობებში, მეფრინველეობის ფაბრიკებში, მედორეობის კომპლექსში, „გარეჯობის“ დღესასწაულებზე. ვინ მოთვლის რამდენი ღირსეული და გამოჩენილი ადამიანი დაუფიქსირებია მის ფოტოკამერას ამ ხნის მანძილზე. მისი ფოტოსტენდები და ალბომები ამშვენებდა სკოლებს, საბავშვო ბაღებს, წარმოება-დაწესებულებათა წითელ კუთხეებსა და ეზოებს.

2003-2005 წლებში მუშაობდა გაზეთ „კახეთის კარიბჭის“ ფოტოკორესპონდენტად.

1981 წლიდან ფოტოხელოვნებაში ახალი ტექნოლოგიები შემოვიდა, რომელმაც უფრო გააიოლა და გაამრავალფეროვნა აქ მუშაობა, მაგრამ მას თავის საქმეზრად აქვს, რომ იმ ძველი ტექნოლოგიების დროს 1000-ზე მეტი ქორწილი აქვს გადაღებული, ერთ დღეს კი ალბათ ყველა დროის რეკორდი მოხსნა და საგარეჯოს ქორწინების სახლში 14 ქორწინების რიტუალი გადაიღო.

50 წლიანი სტაჟის დამსახურებული ფოტოხელოვანი, 1970-78 წლებში საფეხბურთო გუნდ „გარეჯის“ მარჯვენა მცველი თავს დღესაც შემართებით გრძნობს და ჩვეული გულითადობით ხვდება მასთან სურათების გადასაღებად მისულ საგარეჯოელებს. 4 შვილიშვილისა და 1 შვილთაშვილის პაპას, განსაკუთრებით მაინც საბავშვო და სასკოლო დაწესებულებების პატარებთან ურთიერთობა, მათთვის სამახსოვრო ალბომების სახით სიხარულის მინიჭება ახარებს. უხარია ქვეყნის სიკეთე და გულს უმძიმებს ცუდი საქმეები.

კვლავაც ასე შემართებით, მხნედ გვყოლოდეს ჩვენთვის ასე დასაფასებელი გარეკახეთის „ფოტომემატიანე“.

გ. დაბახიშვილი

მადლობა

მადლობას ვუხდი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელს **გიორგი გზირიშვილს** და ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის სოცდახმარების განყოფილების უფროსს **სოფო შაქარაშვილს** ჩემდამი გამოჩენილი ყურადღების, თანადგომისა და დახმარებისათვის

მანანა ხარძიანი
სოფ. უდაბნო

გამოსათხოვარი

ლუიზა ქიტოშვილი-ჩალათაშვილი



„ყველაფერს მოვერიე ცხოვრებაში, სიკვდილის გარდა; ვიცი, რა არის მწვერვალზე ყოფნა და რა არის ძირს დაცემა“-ო, ხშირად ამბობდა ამ ორ ფრაზას და სრულად იყო გასაგები მისი გავლილი ცხოვრება. მან ზუსტად იცოდა, სად უნდა ეტირა და სად უნდა მოელხინა. სწორედ აქ იყო შეუდარებლად ძლიერი.

დიახ, მას დახასიათება არ სჭირდება. ის უბრალოდ ქ-ნი ლუიზა იყო. ქალბატონი, რომლის მოღვაწეობა დიდხანს ეყოფა საგზლად საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს. მას შეეძლო სხვისთვის ცხოვრება ესწავლებინა. ეს მთავარი ღირსება იყო მისი.

იცოდა, რომ სიკვდილი ცხოვრების „გვირგვინია“ და ადრე თუ გვიან ამ „გვირგვინს“ ყველა დაიდგამს, მაგრამ სიცოცხლე უნდოდა, რომ თავისი ლამაზი ოჯახისთვის ეცქირა. ოჯახიც ხომ ისეთი ჰქონდა, როგორიც მას ეკადრებოდა.

ვერ მოერია სიკვდილს. სამწუხაროა, რომ ეს ყველაფერი წარსულია უკვე.

გულისტკივილით ვემშვიდობებით განუმეორებელი შარმის ქალბატონს, რომელიც ადარ გაალამაზებს ქალაქის ქუჩებს. ნათელში იყოს მისი ლამაზი სული

გულისტკივილით:

აიპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება“

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
599 851 143

ელ. ფოსტა: gareji2011@mail.ru